ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის
კომიტეტისა და საქართველოს სსრ მრეწველობის დეპარტამენტის, თბილისის
КОМУНИСТ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი 36-ე წელი
№ 61 (10455)

სამშაბათი, 13 მარტი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი, უძლეველი დროშით

[illegible]

[illegible] ჯერ, ქვანახშირის ამოღება — 1,4-ჯერ, ხოტოვანი სახეზეცების წარმოება — 8-ჯერ, ცემენტისა — 8,1-ჯერ, ბამბის ქსოვილებისა — 2,5-ჯერ, ტყავის ფეხსაცმლისა — 1,4-ჯერ, ყურძენის ღვინისა — 1,8-ჯერ. გლეხთა [illegible] დამოუკიდებელ ლაჯანურის, ბარამის № 2, ტალეულის, ბუზმოის მიდროდელეტროსადგურების ამბავი და მოკმედ საწარმოთა მუშაობაში ჩადენილ ბოროტებანი. ამ ამბავ დროის დაინაყენა მშენებლობა დარიალ-ბეთისა თერგზე და ახალი ბეთონელეტროსადგურისა რიონზე. ამოკმედდება გორის ბამბეულის კომბინატის მეორე რიგი და დაიწყება გრიზნი-თბილისის გაზსადენის მშენებლობა.

მრეწველობასთან ერთად მეცხოველეობა [illegible] საქართველოს სოფლის მეურნეობა. მეიქეზე ხელეწილდნი უზრუნველყოფილ იქნება [illegible] ბალახეულობის, [illegible] ბოლოს ზეფიგონი [illegible] ჩაის ფოთლის წარმოება 1960 წელს მიაღწევს 165 ათას ტონას. 1960 წელს 1955 წელთან შედარებით [illegible] ბაღლიდან [illegible] 1,8-ჯერ, ბოსტნეული — 1,7-ჯერ, ძროხა — ორჯერ, ბაღალია — 1,4-ჯერ. გლეხთა [illegible] 10 ათას ჰექტარ ფართობზე [illegible] 40 ათას ჰექტარ ფართობზე [illegible] 10 ათას ჰექტარ ფართობზე, დამაკრდება ზემო [illegible] ეი ხიტაგის მშენებლობა.

ჩვენი რეპუბლიკის ახალი მძლავრი ეკონომიური და კულტურული აღმავლობის ეს დიდებული ეტაპები მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისა [illegible] ბოლო ბრძოლებ [illegible] ეროვნული [illegible] ბოლო [illegible] ბოლო [illegible] ბოლო

მთელი ძალები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას!

ქალაქ მოსკოვის პარტიული აქტივის კრება

9 მარტს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელსაც 3 ათასამდე კაცი დაესწრო.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ წინადადებას, რომ საპატიო პრეზიდიუმში აერჩიათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უდიდესი რაზმის წარმომადგენლებმა მოისმინეს და განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. ე. ა. ფურცევას მოხსენება პარტიის XX ყრილობის შედეგებისა და მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, — თქვა ამხ. ფურცევამ, — პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი შეაიარაღეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის შემდგომი ბრძოლის დიდებული პროგრამით. ყრილობა იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევი პრინციპების და უწინარეს ყოვლისა კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის გამარჯვების დემონსტრაცია. მან ცხადყო, თუ როგორ ამაღლდა ინიციატივა კომუნისტებისა და მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელიც ხედავს ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავების ნათელ პერსპექტივებს.

მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებმა მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც ყრილობამ დასახა. პირველ რიგში საჭიროა ღონისძიებანი წარვმართოთ იმისათვის, რომ დავრაზმოთ მშრომელები მეექვსე ხუთწლედის ამოცანების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ამხ. ფურცევა აღნიშნავს, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბრძოლას ტექნიკური პროგრესისათვის და ლაპარაკობს მეცნიერთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა დიდ პასუხისმგებლობაზე ამ საქმისათვის. იგი აღნიშნავს, რომ კონსერვატიზმი, უძრაობა სერიოზული დაბრკოლებაა წარმოებაში ყოველივე ახლის, მოწინავის დანერგვისათვის. მაგალითად, დღემდე დედაქალაქის ავტომობილმშენებლები მასობრივ წარმოებაში არ იყენებენ ზუსტ სხმის გამოსადნობი მოდელების მიხედვით. მოსკოვის საწარმოებში ფართოდ არ ვრცელდება აგრეთვე სხვა ძვირფასი წამოწყებანი. პარტიულმა ორგანიზაციებმა და პარტიის რაიკომებმა თავიანთი კონტროლი უნდა დააწესონ ტექნიკურ სიახლეთა დანერგვისადმი.

საწარმოებს დიდი დახმარება უნდა გაუწიონ დედაქალაქის უმაღლესმა სასწავლებლებმა და სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა. მოსკოვში 16 ათასი პროფესორი და მასწავლებელია, აქედან 1.500 დოქტორი და 7.000 მეცნიერებათა კანდიდატი, რომლებიც უმაღლეს სკოლებში მუშაობენ. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებელთა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციები სუსტ გავლენას ახდენენ კოლექტივების მეცნიერულ მუშაობაზე, შემარიგებლურად ეკიდებიან ნაკლოვანებებს.

შემდეგ ამხ. ფურცევა ლაპარაკობს წარმოების კულტურის ამაღლების, მოსკოვის მრეწველობის ტექნიკურად ხელახლა შეიარაღების, მოწინავე გამოცდილების გავრცელების საკითხებზე. ამ დიდი რეზერვების გამოყენებით მოსკოვის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ ყოველივე შესაძლებელი უნდა გააკეთოს, რათა უახლოეს წლებში მიაღწიოს არსებულ ფართობებზე სამრეწველო პროდუქციის სულ ცოტა ერთიორად გადიდებას.

მომხსენებელი ლაპარაკობს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებზე საბჭოთა ადამიანების და, კერძოდ, დედაქალაქის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის. მარტო 1956 წელს კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა მთლიანად ქალაქ მოსკოვში შეადგენს 5.300 მილიონ მანეთს. ხუთ წელიწადში დედაქალაქში აშენდება 9 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ბევრი სკოლა, კინოთეატრი და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება. მიმდინარე ხუთწლედში უნდა აშენდეს საბჭოების სასახლე — დიდი ლენინის ძეგლი. წელს დამთავრდება მეტროს ფრუნზესა და შჩერბაკოვის რადიუსების აგება და დაიწყება კალინინის რადიუსის მშენებლობა.

დასასრულ ამხ. ფურცევამ ილაპარაკა პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას ყველა შესაძლებლობა აქვს მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს პროპაგანდა და აგიტაცია, გააძლიეროს მშრომელთა კომუნისტური აღზრდა. დედაქალაქის მეცნიერმა და შემოქმედმა მუშაკებმა ბევრი რამ უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ გამოკვლევებით, ლექციებით, ხელოვნების ნაწარმოებებით ღირსეულად აისახოს მასების როლი ისტორიაში, ნაჩვენები იყოს ხალხის მოღვაწეობის გადამწყვეტი მნიშვნელობა.

კამათის მონაწილეებმა გამოთქვეს დიდი კმაყოფილება პარტიის XX ყრილობის შედეგების გამო, მხურვალედ მოიწონეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობა და მის მიერ უკანასკნელ წლებში შესრულებული მუშაობა კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების განსამტკიცებლად. კრების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან მტკიცედ იბრძოლონ მშობლიური პარტიის დიდ წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკვორეცკის რაიკომის მდივანმა ამხ. ბორისოვმა ილაპარაკა იმაზე, თუ რაიონის მშრომელები როგორ აღწევენ ახალ საწარმოო წარმატებებს მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ტექნიკური პროგრესის საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები სსრკ კავშირის სახტექნიკის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. მაკსარევმა, მოსკოვის დამზარისხებელი სადგურის დეპოს უფროსმა მემანქანემ ამხ. ბლაგენოვმა, კალინინის სახელობის ფაბრიკის მრთველთა ბრიგადირმა ამხ. კოტოვამ.

კრებაზე გამოსულმა ქალაქ მოსკოვის მთავარმა არქიტექტორმა ამხ. ლოვეიკომ აღნიშნა, რომ არქიტექტორთა უმრავლესობამ სწორად გაიგო მკაცრი კრიტიკა, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მათი შემოქმედებითი საქმიანობის შეცდომებს გაუწია. მან განაცხადა, რომ არქიტექტურისა და დაგეგმვის სამმართველომ გადასინჯა 800-ზე მეტი პროექტი, რომლებიც შემუშავებულია მოსკოვის მშენებლობისათვის. ზედმეტობის ლიკვიდაციისა და საცხოვრებელ სახლებში ფართობის უფრო რაციონალური გამოყენების შედეგად მათი მშენებლობის ღირებულება 230 მილიონ მანეთით შემცირდა.

კრებაზე დიდი ყურადღება მიექცა იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას. ამაზე ილაპარაკეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ფედოსეევმა, 494-ე სკოლის მასწავლებელმა ამხ. ფეოდოროვამ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სვერდლოვის რაიკომის მდივანმა ამხ. რიაბინინმა.

პარტიული და კომკავშირული განათლების სისტემაში ყრილობის მასალების ღრმად შესწავლაზე ილაპარაკა მოსკოვის სალ შენადნობთა კომბინატის დირექტორმა ამხ. სოლოვიოვმა. საწარმოს საამქროებსა და განყოფილებებში ეს დიდმნიშვნელოვანი მუშაობა უკვე დაიწყო. ყრილობის მასალების ახსნა-განმარტება მჭიდროდ უკავშირდება კომბინატის პრაქტიკულ საქმიანობას, მის ამოცანებს მიმდინარე ხუთწლედში.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. დავიდოვი, მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი ამხ. პროკოშკინი, ქარხანა „დინამოს“ პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. კრასნოვი და სხვები.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია მიაღწევს პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, თავის ღონისძიებებს წარმართავს იმისათვის, რომ ფართოდ გაუწიოს პროპაგანდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებს, განუმარტოს კომუნისტებს, კომკავშირელებსა და უპარტიო აქტივს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებანი პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაციის, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების უაღრესად ზუსტად დაცვის საქმეში.

აქტივის კრებამ პირობა მისცა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია კვლავაც იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მტკიცე დასაყრდენი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

დიდი აღმავლობით შესრულდა პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

(საკდესი).

სურათზე: გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი პ. ეფრემიძე კოლმეურნეებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ორთაჭალის კოლმეურნეობაში

გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები დიდი სიხარულით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების, აგრეთვე კოლმეურნეთათვის ყოველთვიურად ავანსების მიცემისა და კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

კოლმეურნეებს ამ დადგენილებებს აცნობენ აგიტატორები თინა ზაქარაია, ნინო ჯიქია, შალვა ჭყონია, ნიკოლოზ გიორგაძე. კოლმეურნენი ერთსულოვნად იწონებენ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდ ლონისძიებას, რომელიც მიმართულია კოლმეურნეობის შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისაკენ, შრომის მაღალი ნაყოფიერების შექმნისაკენ.

შესვენების დროს შეიკრიბნენ პირველი, მეორე და მესამე ბრიგადების წევრები. მათ დადგენილებები გააცნო საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანმა პ. ეფრემიძემ. დიდი მოწონება დაიმსახურა დადგენილებათა თვითეულმა მუხლმა და განსაკუთრებით იმ ნაწილმა, სადაც ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ რჩევა მისცენ კოლმეურნეობებს, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველყოფის მთავარი ამოცანის საფუძველზე, თვითონ შეავსონ და შეცვალონ სასოფლო-სამეურნეო არტელის მიერ მიღებული წესდების ცალკეული დებულებანი კოლმეურნეობის ადგილობრივი, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით“.

ამ დადგენილებებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები ახლა უფრო აძლიერებენ საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპს. კვალსათბურებში გამოჰყავთ ბოსტნეული კულტურების ჩითილები. წელს კოლმეურნეობას 317 ჰექტარი ბოსტნეული კულტურები ექნება. მიმდინარეობს 200 ჰექტარი მიწის მომზადება სიმინდის დასათესავად. მომარაგებულია კარგი ხარისხის თესლი.